



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030148268394320

№ 01-22/თ

28 / იანვარი / 2020 წ.

„ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით
გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2020 წლის 24 იანვრის N01-18/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. „ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით
გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 24 იანვრის N01-18/თ ბრძანებაში
შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის, შემთხვევათა
გამოვლენის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფი და ადექვატური რეაგირების, ინფორმირებისა
და სიტუაციის მართვის/კოორდინაციის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) შეიქმნას
საკოორდინაციო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ეკატერინე ტიკარაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომში - მინისტრი) კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **თამარ გაბუნია** - მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **ზაზა ბოხუა** - მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) **გიორგი ჭავჭავაძე** - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) **ეკატერინე ადამია** - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის
სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ვ) **გვანცა გასვიანი** - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის
სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ზ) **ნათელა ხმალაძე** - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

თ) **ბექა ჯაყელი** - სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ი) **თინათინ ხარძიანი** - სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,
კომისიის წევრი;

კ) მათა ნიკოლეიშვილი - სამინისტროს ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ლ) ანა დარახველიძე - სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

მ) ნინო მამალაძე - სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ნ) ავთანდილ თალაკვაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი;

ო) ამირან გამყრელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, კომისიის წევრი;


პ) პაატა იმნაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, კომისიის წევრი;

ჟ) ხათუნა ზახაშვილი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

რ) ანა კასრაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის და რეაგირების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.“.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე